გამოცემის 103-ე წელი

# აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№57 (25.081) შაბათი, 3 - 5 ივნისი, 2023 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 22-27, შიდამთიან რაიონებში - 20-25 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 17 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 759 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია ზოგან ხანმოკლე წვიმა.

## კრიალოსანი იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უნგრეთის ვიცე-პრემიერ ჟოლტ შემიენს შეხვდა. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ორ ქვეყანას შორის არსებულ მჭიდრო თანამშრომლობაზე, მათ შორის, სავაჭრო-ეკონომიკური კუთხით. მთავრობის მეთაურმა ჟოლტ შემიენს მადლობა გადაუხადა საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების საკითხში უნგრეთის მტკიცე მხარდაჭერისთვის.

* * *

საქართველოს მომავალი ევროკავშირის ოჯახშია, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, რომ სწორი გადაწყვეტილებები მიიღოს, რათა განახორციელოს საჭირო რეფორმები, - განაცხადა ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა მოლდოვაში, ევროპული პოლიტიკური გაერთიანების სამიტამდე. როგორც მან აღნიშნა, ქართველმა ხალხმა იცის, რომ შეუძლია პირადად მისი და ევროკავშირის მხარდაჭერის იმედი ჰქონდეს. „იმედი მაქვს, რომ მომავალი თვეები შესაძლებლობის ფანჯარა იქნება იმაში დასარწმუნებლად, რომ საქართველოს მომავალი ფუნდამენტურ ევროპულ ფასეულობებს დაეყრდნობა: მშვიდობას, კეთილდღეობას, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას“, - განაცხადა მიშელმა.

* * *

პარტია „დროას“ ინფორმაციით, უკრაინის ანტიკორუფციული სააგენტოს ვებგვერდზე, „ომი და სანქციები“ დასასანქცირებელთა სიას **Georgian Airways**-ი და თამაზ გაიაშვილი დაემატა. როგორც „დროას“ წევრმა გიგა ლემონჯავამ განაცხადა, ქვეყნის შიგნით სხვადასხვა პირები და საერთაშორისო პარტნიორებიც კერძო ბიზნესებისა და იურიდიული პირების თითოეულ მოქმედებას ყურადღებით აკვირდებიან და ღალატის ყველა ფაქტზე შესაბამისი რეაგირება ექნებათ.

* * *

ჩვენ უნდა ვემზადოთ აფხაზეთის და შიდა ქართლის გათავისუფლებისათვის. ეს ფანჯარა სულ მალე გაიხსნება, - ამის შესახებ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სოციალურ ქსელში დაწერა. მისი თქმით, ყველა უნდა ვემზადებოდეთ უკრაინის გარდაუვალი გამარჯვებისთვის, ამასთან, უკრაინისა და დასავლური კოალიციისთვის ოკუპირებული ზონები შავი ზღვის რეგიონში სრულიად მიუღებელი იქნება. სააკაშვილი არ გამორიცხავს, რომ „შავიზღვისპირეთში საერთო საზღვარი გვქონდეს უკრაინასთან“ და აცხადებს, რომ დღეს პრეზიდენტ ზელენსკიზე და უკრაინის არმიაზეა „ჩამოკიდებული მთლიანად ქვეყნის ყოფნა-არყოფნა და გამარჯვება“.

**მოამზადა ია შველიძემ**

# სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ ჯუმბერ აბულაძე უხელმძღვანელებს

**ნაილე ხერთვისელი 27 48 93**

*აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, სოფლის მეურნეობის მინისტრ ზაზა შავაძესთან ერთად, სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ ახალი ხელმძღვანელი ჯუმბერ აბულაძე წარადგინა.*

*მთავრობის მეთაურის განცხადებით, ახალ ხელმძღვანელს სისტემაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს და მაღალი რანგის პროფესიონალია.*



„ჩემთვის სასიხარულოა, რომ ხელმძღვანელი პირი სატყეო სააგენტოს სისტემიდან შეირჩა, ძალიან დიდი გამოცდილებით ამ სფეროში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ძალიან კარგად ესმის თითოეული მეტყევის როგორც გამოწვევები, ასევე, სოციალური და სამსახურებრივი საკითხები. იცით, რომ დავიწყეთ ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამის განხორციელება საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, რომელიც ეხება



ტყის მდგრად მართვას. ეს ძალიან საჭირო პროგრამაა, რომელსაც ერთობლივად განვახორციელებთ. მნიშვნელოვანია სატყეო რესურსების სწორი და ეფექტიანი მართვა და მეორე მხრივ, ბალანსის დაცვა ტყის მართვასა და ჩვენი მოქალაქეების მოთხოვნებს შორის, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტებში. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ყოველწლიურად, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ვცდილობთ თითოეული საჯარო მოხელის პირობების გაუმჯობესებას და ეს პროცესი შეუქცევადად გაგრძელდება მომავალში“, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

ჯუმბერ აბულაძე პროფესიით სატყეო მეურნეობის ინჟინერია, მანამდე ის სააგენტოს უფროსის მოადგილის თანამდებობას იკავებდა და ამ უწყებაში მუშაობის 30-წლიანი გამოცდილება აქვს.

# ბათუმი ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ემზადება

მსოფლიო ჩემპიონატის წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით საკოორდინაციო შეხვედრა აჭარის მთავრობის ადმინისტრაციაში მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძის ხელმძღვანელობით გაიმართა. შეხვედრაზე საერთაშორისო ღონისძიების საორგანიზაციო და უსაფრთხოების საკითხები განიხილეს.

ბათუმი, არაერთი საერთაშორისო ღონისძიების მასპინძელი ქალაქი, 5-12 ივნისს 38 ქვეყნიდან ჩემპიონატის 457 მონაწილეს უმასპინძლებს სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში. ასპარეზობა 8-დან 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის გაიმართება.

აჭარის მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას აჭარის მთავრობის და მინისტრთა კაბინეტის წევრები, ბათუმის მერი, შინაგან საქმეთა სამინისტროს და უსაფრთხოების სა-



მსახურის ხელმძღვანელი პირები, საქართველოს და აჭარის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტები ესწრებოდნენ.

**აჭარის მთავრობის პრესსამსახური**


ISSN 2720-8702

9 772720 870003



**გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!**

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

# სასწრაფო დახმარების ცენტრის ავტოპარკს 23 ახალი სპეცმანქანა ჰყავს

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ავტოპარკი 23 სპეცმანქანით განახლდა. ავტომობილები თანამედროვე სამედიცინო აპარატურითაა აღჭურვილი და რთულ რელიეფზე გადასაადგილებლად არის განკუთვნილი. სასწრაფო დახმარების 23 ახალი ავტომობილი ქვეყნის მასშტაბით, რეგიონებში გადანაწილდება. განახლებული ავტოპარკი ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა მოადგილე ილია ღუდუშაურთან და საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორ ალექსანდრე კუტიბაშვილთან ერთად დაათვალიერა.



- 23 მაღალი გამავლობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა მაღალმთიან რაიონებს უნდა გადავცეთ, პრიორიტეტულად იმ რეგიონებს, სადაც ტურისტული სეზონი იწყება და მნიშვნელოვანია, ახალი, თანამედროვე სტანდარტების და აღჭურვილობის სასწრაფო სამედიცინო მანქანები გვყავდეს. ეს პროცესი სამომავლოდაც გაგრძელდება და ძველი ავტოპარკი ეტაპობრივად განახლდება ახალი ავტომობილებით. თანამედროვე ტიპის სასწრაფო სამედიცინო აპარატურა, თავის მხრივ, წარმოადგენს ხარისხიანი სასწრაფო სამედიცინო მომსახურების სერვისის მიწოდების ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტს, - განაცხადა ალექსანდრე კუტიბაშვილმა.

არსებული ინფორმაციით, უახლოეს მომავალში თბილისში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ახალ ოფისიც გაიხსნება. ამასთან, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება თანამშრომელთა სამუშაო და სოციალური პირობებიც.

# გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს წყალი დაბინძურებულია, სიმართლეს არ შეესაბამება

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

**სოციალურ ქსელში ვრცელდება ინფორმაცია, რომ წყალი დაბინძურებულია და ადამიანები იწამლებიან, ნაწილი კი ინფექციურ საავადმყოფოშია გადაყვანილი**

ბუნებრივია, აღნიშნულმა ფაქტმა საზოგადოებაში ვნებათაღელვა გამოიწვია, თუმცა პანიკის საფუძველი არ არსებობს, რადგან „აჭარა" „ბათუმის წყლის" პრესსამსახურს დაუკავშირდა. როგორც გვითხრეს, ამ ეტაპზე მსგავსი პრობლემა არ არსებობს და მცდარი ინფორმაცია ხელოვნურად ააგორეს. მათ სოციალურ გვერდზე განცხადებაც გააკეთეს:



„ბათუმის წყლის" მთავარი ფასეულობა ხარისხიანი და უსაფრთხო სასმელი წყალია. „ბათუმის წყლის" ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია სასმელ, ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებს იკვლევს. სასმელი წყლის ხარისხის მუდმივი, ლაბორატორიული შემოწმება წყლის სათავე ნაგებობების, რეზერვუარებისა და ქალაქის ქსელის სხვადასხვა წერტილიდან აღებულ სინჯებზე ტარდება. „ბათუმის წყლის" ლაბორატორია ტექნიკური აღჭურვილობისა და თანამედროვე სტანდარტებზე ორიენტირების თვალსაზრისით, ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში. „ბათუმის წყლის" მიერ მიწოდებული სასმელი წყლის თვისებები სრულად შეესაბამება სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმატივებს", - აღნიშნულია განცხადებაში.

გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს წყალი დაბინძურებულია, უარყოფენ სემეკსა და წყალმომარაგების კომპანიებშიც.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ეხმიანება გავრცელებულ დეზინფორმაციას თბილისში, რუსთავსა და მცხეთაში სასმელი წყლის ხარისხთან დაკავშირებით. სემეკი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლაბორატორიულ მონაცემებზე დაყრდნობით, წყლის ხარისხი სრულად აკმაყოფილებს ეროვნულ და საერთაშორისო ნორმებს. სემეკი მოუწოდებს თბილისის, რუსთავისა და მცხეთის მოსახლეობას, არ აჰყვნენ ცრუ ინფორმაციას.

„შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" სასმელი წყლის ხარისხის ლაბორატორიულ კონტროლს აწარმოებს ყოველდღიურად, 24-საათიან რეჟიმში. სასმელი წყლის ხარისხის მონიტორინგი ხდება როგორც წყალმომარაგების წყაროების სათავე ნაგებობებზე (არაგვის ხეობა, სამგორი, ღრმაღელე), ასევე წყალსადენის მაგისტრალებზე - 404 წერტილში. სასმელი წყლის დაბინძურება არც ერთ წერტილში არ ფიქსირდება. საქართველოს მასშტაბით სასმელი წყლის ხარისხის მონიტორინგს ახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტო. დამატებითი ლაბორატორიული კვლევებისათვის ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სააგენტოს ცხელი ხაზის მეშვეობით ნომერზე - 1501".

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერიც" განმარტავს, რომ ქალაქ თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლის ხარისხთან დაკავშირებით ადგილი აქვს უსაფუძვლო დეზინფორმაციის გავრცელების მცდელობას.

# ახალი მიმართულება – რესპუბლიკურ საავადმყოფოში

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*რესპუბლიკურ საავადმყოფოს 50 საწოლზე გათვლილი პედიატრიული დეპარტამენტი დაემატა.*

- სიმბოლურად, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ბაზაზე ფუნქციონირება დაიწყო პედიატრიულმა დეპარტამენტმა. აღნიშნული მიმართულებით რეგიონში სა და ადგილობრივ მოსახლეობას, საჭიროების შემთხვევაში, ბავშვთა არსებულ სამედიცინო დაწესებულებებთან ერთად, ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოც მოემსახურება. ვულოცავ კლინიკას ამ სიახლეს, რაც შექმნის კონკურენტულ გარემოს და ხელს შეუწყობს სამედიცინო სერვისების კიდევ უფრო განვითარებას, - განაცხადა აჭარის ჯაგია, ალერგოლოგია, ნევროლოგია, ტოქსიკოლოგია, გასტროენტეროლოგია, ბავშვთა ინფექციები, ზოგადი ქირურგია, ყბა-სახის ქირურგია, ორთოპედია-ტრავმატოლოგია, ოტო-რინო-ლარინგოლოგია. ასევე, უახლოეს პერიოდში დაემატება ბავშვთა რეანიმაცია. აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნულ დეპარტამენტს პედიატრი,



სერვისების გაფართოების საჭიროება ნამდვილად არსებობდა. განსაკუთრებით მაღალი მიმართვა ამ კუთხით ფიქსირდება ტურისტული სეზონის მიმდინარეობისას, ასევე ზამთრის პერიოდში ვირუსული დაავადებების გააქტიურების დროს. მოხარული ვარ, რომ წელს, ბათუმში ჩამოსულ დამსვენებლებნმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა.

ნინო ნიჟარაძის ინფორმაციით, საავადმყოფოში ხელმისაწვდომია შემდეგი პედიატრიული მიმართულებები: ბავშვთა გადაუდებელი დახმარება, ზოგადი პედიატრია, კარდიორევმატოლოგია, ნეფროლობავშვთა კარდიორევმატოლოგი თამაზ სურმანიძე უხელმძღვანელებს.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ახალი შენობა 2020 წელს გაიხსნა და ის ამჟამად მრავალპროფილური სამედიცინო დაწესებულების სტატუსით ფუნქციონირებს.

# ცინარეთის ციხეზე მისასვლელი ბილიკი გააკეთეს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

მიუვალ კლდეზეა აგებული საფორტიფიკაციო ნაგებობა - ცინარეთის ციხე. შუა საუკუნეების ისტორიული ნაგებობიდან კედლების ნაშთები, ქვევრები და ციხის ქონგურზე არსებული, ქვაში ამოკვეთილი წყლის რეზერვუარია შემონახული. სათანადო სამსახურებმა ისტორიულ ნაშთებს დროზე თუ არ მიხედეს, ისიც განადგურდება.

გაუვალი იყო ციხესთან მისასვლელი საცალფეხო ბილიკი, ეკალბარდებით იყო დაფარული ციხე.

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე წარმომადგენლობით ორგანოში ცინარეთელთა რჩეულიცაა. მისი ინიციატივითა და ჩართულობით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კეკელიძემ, საკრებულოს წევრმა თენგიზ ივანაძემ, შუახევის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა უჩამბის ადმინისტრაციულ ერთეულში ემზარ დავითაძემ, მერიის სპეციალისტმა ფრიდონ ხუჯაძემ, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, ცინარეთის ციხეზე მისასვლელი ბილიკი გააკეთეს, მიმდებარე ტერიტორია ეკალ-ბარდებისგან გაწმინდეს და დაასუფთავეს.

- ცინარეთის ციხე მაღალ კლდეზეა აშენებული და ისტორიკოსები მას XI-XII საუკუნეს მიაკუთვნებენ. შუახევის ადმინისტრაციული ცენტრიდან დაშორებულია 12 კილომეტრით. ამჟამად შემორჩენილია გალავნის კედლები და შიდა ნაგებობათა ნაშთები. ციხის მთლი-



ანი ფართობი დაახლოებით 3640 კვადრატული მეტრია. მრავლად გვხვდება ქვევრების მთლიანი თუ დაზიანებული ნაშთები. მალე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს წინაშე წინადადებით წარვსდგებით, რომ მოეწყოს ციხესთან მისასვლელი გზა, დაიწყონ არსებული ნაშთების რესტავრაცია-კონსერვაცია. ულამაზესი და ისტორიული ტერიტორიები ვიზიტორებს მრავლად მოიზიდავს, - გვითხრა როსტომ ლორთქიფანიძემ.

# საფრთხე, რომელსაც ვერ ვხედავთ...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*საქართველოს წინაშე მრავალი გამოწვევაა - პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური. პოლიტიკური გამოწვევებიდან უმნიშვნელოვანესია ქვეყნის დემოკრატიზაციის ხარისხის კიდევ უფრო ამაღლება*



აუცილებელია ეკონომიკური ზრდის დაჩქარება. სოციალური გამოწვევებიდან უმთავრესია უმუშევრობის აღმოფხვრა. ამ მხრივ საყურადღებოა რუსული ფაქტორი, რასაც ხელისუფლებამ და ოპოზიციამაც ადეკვატურად უნდა უპასუხონ. ყურადღებას რუსეთზე შევაჩერებთ, რომელიც აგრძელებს მცოცავ ოკუპაციას და ცდილობს, საქართველომ არ მიიღოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, რასაც ემატება უხილავი საფრთხეები.

საფრთხე, რომელსაც ვერ ვხედავთ, ესაა სახელმწიფოს დეზინტეგრაცია. რუსეთმა საამისოდ ქმედითი ნაბიჯები გადადგა: 1991 წელს არა მხოლოდ სამოქალაქო ომი გააჩაღა საქართველოში, არამედ ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი). რუსეთმა საბოლოო მიზანს ვერ მიაღწია. მიუხედავად უამრავი პრობლემისა, ჩვენი ქვეყანა თანმიმდევრულად ვითარდებოდა და ვითარდება...

*„ექსპერტთა თქმით, კრემლი რევანშის აღებას სხვა რეგიონში შეეცდება. ამ მხრივ დამაფიქრებელი იყო რუსეთის პრეზიდენტ პუტინის ამასწინანდელი გზავნილი საქართველოში - 9 მაისი, სხვა მოკავშირე ქვეყნებთან ერთად, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, ჩვენს ოკუპირებულ რეგიონებსაც (აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთს“) მიულოცა და დააყოლა: ასევე ვულოცავ საქართველოს „ხალხებსაც“. ეს ძალიან საშიში განცხადებაა*

2008 წლის აგვისტოს ომი სწორედ ქართული სახელმწიფოს დეზინტეგრაციისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო, მაშინ ჩვენმა ჯარმა და დასავლეთმა გვიხსნა. მას შემდეგ 14 წელი გავიდა, საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, ყირიმის ანექსიამ მსოფლიო გამოაფხიზლა. რუსეთი არ იცვლება, რადგან მისი ხელისუფლების არსი და ბუნება უცვლელია, როგორც კონსტანტა. რა უნდა მოსთხოვო ქვეყანას, რომელსაც, ტიუტჩევისა არ იყოს, „გონებით ვერაფერს გაუგებ“. როგორც აფხაზი პუბლიცისტი ალექსი თარია ამბობდა: „რუსეთი მესამე მსოფლიო ომის მოდერატორიც გახდება, ოღონდაც კი პასუხი არ აგოს კრემლის ამჟამინდელ თუ წინამორბედ ბინადართა დანაშაულობებზე“. სწორედ ამ მიზნით წამოიწყო ომი რუსეთმა უკრაინაში, ეს ქვეყანა დასავლეთის მხარდაჭერით უმკლავდება აგრესორს და ანალიტიკოსთა თქმით, რამდენიმე თვეში შეძლებს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციას, დასავლეთი არ დაუშვებს უკრაინის დამარცხებას...

ექსპერტთა თქმით, კრემლი რევანშის აღებას სხვა რეგიონში შეეცდება. ამ მხრივ დამაფიქრებელი იყო რუსეთის პრეზიდენტ პუტინის ამასწინანდელი გზავნილი საქართველოში - 9 მაისი, სხვა მოკავშირე ქვეყნებთან ერთად, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, ჩვენს ოკუპირებულ რეგიონებსაც (აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთს“) მიულოცა და დააყოლა: ასევე ვულოცავ საქართველოს „ხალხებსაც“. ეს ძალიან საშიში განცხადებაა. ამ მილოცვის კონტექსტით კარგად გამოჩნდა, როგორი დამოკიდებულება აქვს რეალურად ოკუპანტს საქართველოსადმი...

მკითხველს შევახსენებ მნიშვნელოვან გარემოებას, რასაც ქართულმა მხარემ არასათანადო ყურადღება მიაქცია: 2008 წლის აგვისტოს ომში გორსა და სენაკში რუს ჯართან ერთად ნიღბიანი ადამიანებიც გამოჩნდნენ, რომლებიც ქართულად საუბრობდნენ. ვინ იყვნენ ისინი? როგორც სამხედრო ექსპერტები ამბობენ, ისინი დავერბოვკებული ქართველები იყვნენ, რომლებიც რუს სპეცსამსახურებს ქართულ ჯარზე ინფორმაციას აწვდიდნენ და საჭიროების შემთხვევაში კოლაბორაციონისტობას აპირებდნენ... სხვათა შორის, რუსეთი ჯავახეთსა და მარნეულშიც ცდილობდა კონფლიქტის გაღვივებას, მაგრამ (სომხეთმა, აზერბაიჯანმა) ამის შესაძლებლობა არ მისცეს, ანუ არ წაახალისეს სეპარატიზმი ამ რეგიონებში. ვინ მოგვცემს გარანტიას, რომ რუსეთის ელიტა გაკეთილშობილდება. ეს გამორიცხულია. უკრაინაში ომი ამის თვალსაჩინო მაგალითია, თუმცა ვინ იცის, სამომავლოდ შეიძლება რუსეთიც დემოკრატიული ქვეყანა გახდეს. თავის დროზე გერმანიაც და იაპონიაც იყვნენ იმპერიალისტური სულისკვეთების, ერთმა ევროპა გადაბუგა, მეორემ ჩინეთი და კორეა დაიპყრო და აურაცხელი ზიანი მიაყენა ამ სახელმწიფოებს, მაგრამ ახლა ეს ქვეყნები განვითარებულია როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და ტექნოლოგიური თვალსაზრისით. ჯერჯერობით კი რუსეთი ნაცისტური გერმანიის მსგავსი ქვეყანაა.

არის მოსაზრება, რომ რუსეთის აგრესია ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას უკავშირდება. არადა, 1992-1993 წლებში, როდესაც კრემლმა საქართველოს კონფლიქტები წაახალისა, ჩვენთან ნატოსა და ევროკავშირზე არავინ ლაპარაკობდა, მაგრამ რუსეთმა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია განახორციელა და ეთნოწმენდაც მოგვიწყო. ფაქტია, ყველა ქართული ხელისუფლება ცდილობდა რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგებას, ვინაიდან ნებისმიერი აცნობიერებდა, რომ ამ ქვეყანასთან კონფრონტაცია კარგის მომტანი არ არის. უნდა ვაღიაროთ, რომ კრემლი ვერ ეგუება ჩვენს დამოუკიდებლობას. მაგალითად, შევარდნაძემ შესთავაზა რუსეთს ურთიერთობის ახალი ფურცლიდან დაწყება, მაგრამ ამით კონფლიქტები არ მოგვარებულა, მოკლედ ვიტყვი: გამსახურდიას მთავრობის ჩამოგდებაში რუსეთი ფარულად მონაწილეობდა, შევარდნაძის მმართველობისას აფხაზეთი მიისაკუთრა, სააკაშვილის დროს აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა აღიარა, ამჟამინდელ ხელისუფლებას კი ურჩევს არსებული რეალობის გათვალისწინებას და მცოცავ ოკუპაციას აგრძელებს. ეს ყველაფერი არ არის შემთხვევითი და გამომდინარეობს ამ სახელმწიფოს პოლიტიკიდან.

უდავოა, დასავლეთს 2008 წელს მეტი სიხისტე რომ გამოეჩინა რუსეთის მიმართ, უკრაინის კრიზისი არ მოხდებოდა. ძალიან კარგია, რომ ამჟამად დასავლეთი პრინციპულ პოზიციაზე დგას, მაგრამ საინტერესოა, რატომ იყო აგვისტოს ომის დროს ის პასიური? ამ კითხვას პასუხობს პოლიტოლოგი გელა ირემაძე:

„გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, მსოფლიო თანამეგობრობა არჩევანის წინაშე დადგა: ის უნდა დახმარებოდა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს დამოუკიდებლობის მოპოვებაში და აქედან გამომდინარე, დაპირისპირებოდა რუსეთს ან პირიქით - ამ უკანასკნელის ინტერესები დაეცვა. დასავლეთმა, ასე ვთქვათ, შუალედური არჩევანი გააკეთა. ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპა შეეგუენ და დროებით აღიარეს ევრაზიული სივრცე რუსეთის ინტერესების სფეროდ და, ამავდროულად, დაეხმარნენ ეკონომიკურად - მილიარდობით დოლარის ინვესტიცია განახორციელეს რუსეთში. დასავლეთის კეთილგანწყობა რუსეთმა სათავისოდ გამოიყენა, მეზობელი ქვეყნების მიმართ აგრესიული ქმედებები განახორციელა. პირველი მსხვერპლი საქართველო აღმოჩნდა“.

რატომ აღმოჩნდა ჩვენი ქვეყანა რუსეთის აგრესიის ობიექტი? საქმე ისაა, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების შემდეგ, საქართველო უკომპრომისოდ იბრძოდა თავისუფლებისთვის, თანაც ზვიად გამსახურდია აქტიურად ამხელდა კრემლის ქმედებებს ჩრდილო კავკასიაში. სამწუხაროდ, რუსეთის სპეცსამსახურებმა ქართველების ხელით შეძლო საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება, აპოგეა კი 2008 წლის აგვისტოს ომი იყო. მას შემდეგ 14 წელი გავიდა, როგორც ვთქვით, მსოფლიო შეიცვალა, გადააფასა ადრინდელი შეცდომები რუსეთთან მიმართებით, იგი უკრაინის ომმა გამოაფხიზლა. რუსეთი სრულ იზოლაციაში მოექცა, ნატო გაფართოვდა, ფინეთი ალიანსის წევრი გახდა, სამაგიეროდ, კრემლი ცდილობს, საქართველომ კანდიდატის სტატუსი არ მიიღოს.

სწორედ ამის შესახებ საუბრობს საჯარო მმართველობის დოქტორანტი, ბსუ-ის ლექტორი გიგა ფარტენაძე: „საქართველოსთვის მნიშვნელოვანია კანდიდატის სტატუსის მიღება, ამ მხრივ მოცემულობა ძალიან ნათელია - 12 რეკომენდაცია შესრულებულია. სწორედ ხელისუფლებამ და ოპოზიციამ უნდა გამოიჩინონ მაღალი პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა და ყველა ნაბიჯი მიმართონ ამ მიზნის რეალობად გარდაქმნისთვის... ქართველი ხალხის დაკვეთა არის ევროინტეგრაცია და დასავლური კურსი, ამიტომ ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს ამ მიზნის მისაღწევად“.

ექსპერტთა თქმით, რუსეთი შეეცდება, კანდიდატის სტატუსის საპირისპიროდ ნეიტრალიტეტის თემა შემოაგოროს, არადა, ნეიტრალიტეტის გამოცხადება საერთაშორისოდ აღიარებულ შეთანხმებას უნდა ეფუძნებოდეს. კერძოდ, ნეიტრალური სახელმწიფო იქმნება მაშინ, როცა ძლიერი სახელმწიფოები აღიარებენ ამ ქვეყნის ნეიტრალიტეტს და, ამავდროულად, წარმოადგენენ ამ სტატუსის გარანტორებს. საქართველოს შემთხვევაში, სულ მცირე, რუსეთი ვერ გახდება ნეიტრალიტეტის გარანტორი, ვინაიდან თავად აქვს ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიები.

საკმაოდ რთული პერიოდი გველოდება, რადგან რუსეთი მარცხდება უკრაინაში, ეკონომიკურმა სანქციებმა მრავალმხრივ დააზარალა რუსეთის ელიტა, მოლდოვაში საწადელს ვერ მიაღწია, შუა აზია ჩინეთის გავლენის ქვეშ იმყოფება, სომხეთიც ნელ-ნელა სცილდება რუსეთს, აზერბაიჯანს თურქეთი მფარველობს. აქედან გამომდინარე, რუსეთი ცდილობს, როგორც ვთქვით, საქართველომ კანდიდატის სტატუსი ვერ მიიღოს. მიუხედავად დასავლეთის გარკვეული პრეტენზიებისა საქართველოს ხელისუფლებისადმი, ჩვენს ქვეყანას კანდიდატის სტატუსი უნდა მიანიჭონ, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოში ანტიდასავლური რიტორიკა გაღვივდება, რაც რუსეთის უმთავრესი მიზანია. მოკლედ, დასავლეთმა არ უნდა დაიშუროს ძალისხმევა ქართველი ხალხის დახმარებისთვის. უკრაინელ ხალხთან ერთად, ქართველებიც იბრძვიან (უკრაინაში) უკეთესი მომავლისთვის, უსაფრთხოებისა და მსოფლიოში მშვიდობისთვის.

# „რუსეთის ომი უკრაინაში სტრატეგიული მარცხია...“



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა განაცხადა, რომ რუსეთის ომი უკრაინაში სტრატეგიული მარცხია, რაც ქვეყნის გავლენასა და ინტერესებს მომავალი წლების განმავლობაში შეამცირებს.

„ეჭვგარეშეა, რუსეთი დღეს მნიშვნელოვნად უარეს მდგომარეობაშია, ვიდრე უკრაინაში სრულმასშტაბიან შეჭრამდე იყო - სამხედრო, ეკონომიკური და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით“, - აღნიშნა ბლინკენმა. მისი თქმით, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მხოლოდ გააძლიერა ფართომასშტაბიანი საერთაშორისო გამბედაობა.

„სადაც პუტინი მიზნად ისახავდა გაძლიერებას, მან გამოავლინა სისუსტე, სადაც გაყოფას ცდილობდა, გააერთიანა, რისი თავიდან აცილებაც სცადა, დააჩქარა“, - აღნიშნა ბლინკენმა.

**ამირან ბურიელიძე**

## უცხოეთი

ნატო ვერ მიიღებს ახალ წევრებს, რომლებიც ამჟამად ომში არიან ჩართული, - განაცხადა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანალენა ბერბოკმა ოსლოში, ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე. მისი თქმით, ოსლოში გამართული შეხვედრა კიდევ ერთი ნაბიჯია ნატოს ლიდერების ვილნიუსის სამიტამდე, რომელიც ივლისშია დაგეგმილი და მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს კიევთან ურთიერთობების გაძლიერების შესახებ შეთანხმებას. ამავე პოზიციაზეა გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის მინისტრი ბენ უოლესიც. იგი აცხადებს, რომ უკრაინის ნატოში გაწევრიანება უახლოეს მომავალში არ მოხდება. „რეალისტები უნდა ვიყოთ და ვთქვათ: ეს არ მოხდება ვილნიუსში, ეს არ მოხდება უახლოეს მომავალში“, - აღნიშნა უოლესმა. შეგახსენებთ, უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ მოლდოვაში განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ნატოში გაწევრიანებისთვის მზად არის.

* * *

მოლდოვის გზა ევროკავშირში დნესტრისპირეთის ვითარებაზე არ არის დამოკიდებული, - განაცხადა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ჟოზეფ ბორელმა მოლდოვაში, ევროპული პოლიტიკური გაერთიანების სამიტზე. „მოლდოვა ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატია, რაც ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ წარმოუდგენელი ჩანდა. მოლდოვის გზა არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა ხდება დნესტრისპირეთთან“, - განაცხადა ბორელმა. მან კვიპროსის მაგალითი გაიხსენა, რომელიც კვიპროსის რესპუბლიკად და არაღიარებულ ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკად იყოფა, მაგრამ მაინც გახდა ევროკავშირის წევრი. „მოლდოვას შეუძლია იგივე გააკეთოს“, - აღნიშნა ბორელმა.

* * *

კიევის რეჟიმი კრაზანების ბუდესავით უნდა განადგურდეს, - განაცხადა რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი მედვედევმა ვოლგოგრადის რეგიონში ერთობლივი შეიარაღების პოლიგონზე ვიზიტისას. „ისინი უნდა განადგურდნენ არა მხოლოდ მათი პირადი შესაძლებლობებით, აუცილებელია თავად კრაზანების ბუდის განადგურება - უნდა განადგურდეს რეჟიმი, რომელიც შეიქმნა უკრაინაში, წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხე იქიდან მოვა და მუდმივად მოგვიწევს ისეთი ოპერაციის განხორციელება, როგორსაც წელიწადზე მეტია, ვატარებთ“, - განმარტა მან. რუსული მედიის ინფორმაციით, სამშაბათს დილით უკრაინამ, თვითმფრინავის ტიპის რვა უპილოტო საფრენი აპარატის გამოყენებით, მოსკოვის სამიზნეებზე თავდასხმა სცადა.

* * *

კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილში, მუნიციპალურ შენობებთან ნატოს სამშვიდობო მისიის ჯარისკაცები განლაგდნენ. ქალაქ ლეპოსავიჩში უსაფრთხოებას პოლონელი და ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები იცავენ. რამდენიმე დღის წინ ძირითადად ეთნიკური სერბებით დასახლებულ კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილში ეთნიკურად ალბანელი მერები დანიშნეს. აღნიშნულმა ადგილობრივ მოსახლეობაში უკმაყოფილება გამოიწვია. დემონსტრანტებმა მუნიციპალურ შენობებს ალყა შემოარტყეს, რასაც სამართალდამცველებსა და აქციის მონაწილეებს შორის შეტაკება მოჰყვა. არეულობის დროს ნატოს 30-მდე სამშვიდობო ჯარისკაცი და 52 სერბი დემონსტრატი დაშავდა, რის გამოც ალიანსმა კოსოვოს ჩრდილოეთით დამატებით 700 ჯარისკაცის განლაგებაზე განაცხადა.

**მოამზადა ია შველიძემ**

# თავისუფლებას ირმა შავაძისთვის დიდი ფასი აქვს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*ჩვენი სტუმარია ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ირმა შავაძე.*

**- ქალბატონო ირმა, წარმომადგენლობით ორგანოში პროფესიით ჟურნალისტის არჩევა რამ განაპირობა?**

- ჟურნალისტიკა ის სფეროა, საიდანაც პრიზმიდან ხედავ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას. გარკვეულწილად, პროფესიულმა გამოცდილებამ მომცა იმის სურვილი, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩავრთულიყავი. მმართველი პარტიის პოლიტსაბჭოსგან შემოთავაზება მივიღე და აქტიურად ჩავერთე წინასაარჩევნო ბატალიებში. კენჭს პროპორციული სიით ვიყრიდი. შედეგმაც არ დააყოვნა და... წელიწადნახევარია, საკრებულოში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ვარ.

**- „ქართული ოცნების" მმართველობაში მოსვლის წლიდან სხვადასხვა პოზიციაზე იმუშავეთ. ადამიანებთან ყველაზე უკეთ რომელმა სამსახურმა დაგაახლოვათ?**

- დიდაჭრის ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელობა რომ დამეკისრა, ეს თანამდებობა მეტად საპასუხისმგებლო აღმოჩნდა. პროფესიით ჟურნალისტისთვის, ბევრი რამ უცნობი იყო, მაგრამ აქ უფრო დავუახლოვდი ადამიანებს. ყველაზე უკეთ მაშინ დავინახე ხალხის ცხოვრება, მათი განსხვავებული მიდგომები, ცხოვრების წესი, პრობლემები, რამაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ცოდნა და გამოცდილება მომცა ჩემს შემდგომ საქმიანობაში. დღეში 30-ზე მეტ ადამიანს ვხვდებოდი სამსახურებრივად, თუნდაც მეგობრულად და მეზობლურად. მართალი სიტყვა ცხოვრების წესად მაქვს, რაც ყველგან და ყველაფერში მეხმარება. დიდაჭარლებმა და ირემაძეებლებმა არჩევნებზე მხარი დამიჭირეს და ახლა მაქვს პატივი, გაზეთ „აჭარის" საშუალებით მადლობა გადავუხადო მათ.



**- სამსახური თუ გიმაღლებთ მოტივაციას?**

- ცხადია, გადაწყვეტილების მიმღების პოზიცია ჩემთვის მამოტივირებელი და სასიამოვნოა, თუმცა ყველაზე კარგი ისაა, რომ მე გავხდი იმ ადამიანების მხარდამჭერი, რომელთაც ძალიან უნდათ ვილაცისთვის უმნიშვნელოვანესი პრობლემების მოგვარება.

**- საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობას ელოდით?**

- ვერ ვიტყვი, რომ ველოდი, თუმცა, ამ პოზიციამ ძალიან დიდი პასუხისმგებლობა დამაკისრა და ვცდილობ, მეც პასუხისმგებლობით მოვეკიდო მოვალეობას.

**- გენდერული თანასწორობის პროცესებში აქტიურად ხართ ჩართული. რაა მთავარი, რომ ქალი, დედა საზოგადოებაშიც მოტივირებული და დაფასებული იყოს?**

- გენდერული თანასწორობა კვლავ აქტუალური თემაა. ჩვენს რეალობაში ბევრია აქტიური, საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართული ქალი, მაგრამ გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე მათი სიმცირე ისევ იგრძნობა.

**- მაშინ, როცა დიდაჭარის ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელი იყავით, საღვთო დღესასწაული „დიდაჭარობა" რა ადგილს იჭერდა თქვენს მუშაობაში?**

- საერო და საღვთო დღესასწაულებისადმი გამორჩეული დამოკიდებულება მქონდა. „დიდაჭარობა" წარსულთან წილნაყრობაა, ჩვენი გმირული ისტორიის გაცოცხლებაა. ადგილობრივმა და უცხოელმა მართლმადიდებლებმა, სხვა აღმსარებლობის მიმდევრებმა მოინახულეს თარანგელოს მთა, სადაც პირველი ტაძარი აიგო და ქრისტეს მოციქულებმა სახარება იქადაგეს. ხელმძღვანელის პოზიციიდან არ ვიყურებოდი, ამ დროს ამაყი ვიყავი - როგორც დიდაჭარელი. ჩემი თანასოფლელების, ღონისძიების ორგანიზატორების, გამორჩეულად აწ განსვენებული თამაზ წულუკიძის თანადგომა არ დამავიწყდება.

*„დიდაჭრის ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელობა რომ დამეკისრა, ეს თანამდებობა მეტად საპასუხისმგებლო აღმოჩნდა. პროფესიით ჟურნალისტისთვის, ბევრი რამ უცნობი იყო, მაგრამ აქ უფრო დავუახლოვდი ადამიანებს. ყველაზე უკეთ მაშინ დავინახე ხალხის ცხოვრება, მათი განსხვავებული მიდგომები, ცხოვრების წესი, პრობლემები, რამაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ცოდნა და გამოცდილება მომცა ჩემს შემდგომ საქმიანობაში*

**- ოჯახი გარიგებით შექმენით თუ...**

- სიყვარულით. გამართლებაც არის და გამართლებაც. ოჯახის შექმნის პირველი დღეებიდან ერთმანეთის პატივისცემითა და მოკრძალებით მოვდივართ. ასე გაგრძელდება.

**- ადათ-წესებისა და ეროვნული იდეების დიდ დამცველად გიცნობენ...**

- მე ვიზრდებოდი იმ დროისთვის საკმაოდ განათლებულ ოჯახში. დიდაჭარის სკოლის დირექტორი მერი გობაძე ბებიაჩემი იყო, პედაგოგია დედაც. ბაბუა, რომელსაც კლასიკური განათლება არ ჰქონია, თავისი სიბრძნით, საქმისადმი ეროვნული დამოკიდებულებით, სოფელში ავტორიტეტული ადამიანი იყო. ამ ყველაფერმა გავლენა იქონია ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაზე. სასიამოვნოა, თუ თვლიან, რომ ეროვნულ და ტრადიციულ წესებზე ვარ გაზრდილი, ეს ყველაფერი ჩემი წინაპრების დამსახურებაა. ვთვლი, რომ ნებისმიერი ქართველის ვალია ტრადიციების დაცვა და გაგრძელება. ყველას გვევალება იმ ეროვნული, პატრიოტული ღირებულებების შენარჩუნება, რომელიც ღირსეულმა წინაპრებმა საუკუნეებს გამოატარეს და საპატრონებლად ჩვენ დაგვიტოვეს.

**- დრო დეპუტატი ქალის ცხოვრებაში?**

- დრო არ მყოფნის არასდროს, იმიტომ რომ ცხოვრებაში ბევრი მოვალეობა მეკისრება, ვარ საკრებულოს წევრი, მეუღლე, დედა, რძალი და ამავე დროს ბებია. შესაბამისად, მიწევს დროის სწორად გადანაწილება.

**- ავტომობილის მართვისას სხვის რჩევას თუ ითვალისწინებთ?**

- ყურადღებით ვარ საჭესთან და შესაბამისად, ვცდილობ, ჩემით ვიპოვო გამოსავალი მოძრაობისას, თუ ამის საჭიროება შეიქმნება.

**- რომელი გირჩევნიათ, იყოთ მრჩეველი თუ სხვების რჩევებს უსმინოთ?**

- ცხოვრებაში ყოველთვის არის მომენტი, როცა რჩევას გაძლევენ, ასევე, შენს რჩევას საჭიროებენ. ორივე მისაღებია ჩემთვის.

**- საქმეში ჩარევა ყოველთვის ამართლებს თუ...**

- ჩაერევი - ინანებ, არ ჩაერევი - ისევ ინანებ, თუმცა ჩაურევლობას ვამჯობინებ.

**- ჟურნალისტის პროფესიაზე რას იტყვით?**

- ჟურნალისტად მუშაობა თავისუფლებასთან ასოცირდება, შესაბამისად, თავისუფლებას დიდი ფასი აქვს ჩემთვის.

**- სად ისურვებდით მუშაობას პრესაში თუ ტელევიზიაში?**

- დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი პრესაშიც და ტელევიზიაშიც.

**- შვილი არჩევანს რომ აკეთებდეს და თანადგომა გთხოვოს, რა პროფესიას ურჩევდით?**

- ორი შვილის დედა ვარ და შესაბამისად, დადგა ცხოვრებაში ის მომენტი, როცა მათთვის რჩევა უნდა მიმეცა, თუმცა გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ ჩავრეულვარ.

**- ქალი - თამადა თქვენთვის რამდენად მისაღებია და თუ გქონიათ სუფრის წინამძღოლობის პატივი?**

- საქართველოში თამადის ინსტიტუტი მნიშვნელოვანია. ჩემთვისაც მისაღებია ნებისმიერი კარგი თამადა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა, უხელმძღვანელოს ქართულ სუფრას. შესაბამისად, არ აქვს მნიშვნელობა, თამადა ქალი იქნება თუ კაცი. თამადობა, ქართული სუფრის წინამძღოლობა მადლია, ამიტომ შემოთავაზებაზე უარის თქმა ცოდვად მიმაჩნია.

**- დაბოლოს, ზოგიერთის მოსაზრებაა, ხულოს სახელწოდება შეეცვალოს. იზიარებთ მათ პოზიციას თუ...**

- დიდაჭარა ყოველთვის გამორჩეულ ადგილს იჭერდა ხულოს რაიონის ისტორიაში. სოფელს აქვს 20 საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია და ტრადიციები, რომლებსაც დიდი სიფრთხილით ეკიდება ნებისმიერი დიდაჭარელი. არ ვფიქრობ, რომ ეს სახელი რაიმე ცვლილებას საჭიროებს.

## უკრაინა

რამდენიმე ქვეყნის პრემიერ-მინისტრებმა პირობა დადეს, რომ უკრაინას დამატებითი რაოდენობის Patriot-ის საჰაერო თავდაცვის სისტემებს მიაწვდიან, - პოლონური მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა მატეუშ მორავეცკიმ მოლდოვის დედაქალაქში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სადაც ის ევროპული პოლიტიკური გაერთიანების სამიტზე იმყოფებოდა. მისი თქმით, პოლონეთს არ აქვს საკმარისი რაოდენობის Patriot-ის სისტემები, ამიტომ მათ უკრაინას ვერ გადასცემს. ამავდროულად, მორავეცკიმ ევროპის პოლიტიკური გაერთიანების შეხვედრისას აღნიშნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ სხვა ქვეყნებმა, რომლებსაც Patriot-ის სისტემები აქვთ, უკრაინას რაც შეიძლება მალე გადასცენ ისინი. „შემიძლია ვთქვა, რომ ეს შეხვედრა იყო ძალიან, ძალიან კონსტრუქციული, პოზიტიური", - განაცხადა მორავეცკიმ და დასძინა, რომ რამდენიმე პრემიერ-მინისტრმა ამ სისტემების უკრაინისთვის მიწოდების პირობა დადო.

* * *

დასავლეთის შეფასებით, უკრაინის ქალაქ ბახმუტის აღების მცდელობისას რუსეთის 60 000-ზე მეტი ჯარისკაცი დაიღუპა და დაშავდა, - ინფორმაციას Sky News-ი დასავლელ ოფიციალურ პირზე დაყრდნობით ავრცელებს. „ვვარაუდობთ, რომ ბახმუტის აღების მცდელობა, სავარაუდოდ, რუსეთს დაუჯდა მინიმუმ 60 000 დაღუპული და დაშავებული ბახმუტ-პოპასნას სექტორში ერთი წლის ბრძოლის განმავლობაში", - აღნიშნა ოფიციალურმა პირმა. მისივე განმარტებით, რაც შეეხება მხოლოდ დაღუპულებს, სავარაუდოდ, მათი რიცხვი, დასახელებული რაოდენობის დაახლოებით მესამედს შეადგენს. ამასთან, წყაროს თქმით, ქალაქი სტრატეგიულად უმნიშვნელოა და უკრაინული შენაერთები ქალაქის მთავარი ნაწილიდან გავიდნენ. „ვხედავთ, რომ „ვაგნერის" ძალები გადიან, ყოველ შემთხვევაში, ამ დროისთვის. ამ ძალოვანი ელემენტების ჩანაცვლება მოითხოვს მნიშვნელოვან ძალისხმევას რუსეთის ისედაც გადატვირთული რეგულარული ძალებისგან", - აღნიშნა წყარომ.

* * *

რუსეთის რამდენიმე ოლქის გუბერნატორები დრონებით თავდასხმის შესახებ ინფორმაციას ავრცელებენ. სმოლენსკის ოლქის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელ ვასილ ანოხინის მტკიცებით, ოლქში, საწვავის და ენერგეტიკულ ობიექტებზე დრონებით თავდასხმა განხორციელდა, თუმცა სერიოზული დაზიანება არ დაფიქსირებულა და არავინ დაშავებულა. ბრიანსკის ოლქის გუბერნატორ ალექსანდრ ბოგომაზის ინფორმაციით, უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ოლქის ტერიტორია დაბომბეს. „უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა სუზემსკის რაიონის სოფელი ნოვაია პოგოშჩი დაბომბეს. არავინ დაშავებულა ან დაღუპულა. დაბომბვის შედეგად საცხოვრებელ სახლში ხანძარი გაჩნდა. ადგილზე ოპერატიული სამსახურები მუშაობენ", - განაცხადა ბოგომაზმა. მისი თქმით, დაბომბვის შედეგად საცხოვრებელ სახლს ცეცხლი გაუჩნდა ლომაკოვკას დასახლებაშიც. ამასთან, ბელგოროდის ოლქის გუბერნატორის ვიაჩესლავ გლადკოვის მტკიცებით, უკრაინის შეიარაღებული ძალების მხრიდან განხორციელებული დაბომბვის გამო 2 500 ადამიანი თავშესაფარშია გადაყვანილი. ხუთშაბათს, ორმა ანტიპუტინისტურმა ჯგუფმა, რომლებიც რუსეთის მოქალაქეებისგან არიან დაკომპლექტებული, განაცხადა, რომ კვლავ იბრძოდნენ რუსეთის ტერიტორიაზე, რაც მოსკოვის თავდაცვის სამინისტრომ უარყო. უკრაინის ოფიციალური პირები რუსეთის ტერიტორიაზე განხორციელებულ თავდასხმებში მონაწილეობას უარყოფენ და აცხადებენ, რომ აღნიშნული ჯგუფები დამოუკიდებლად მოქმედებენ.

* * *

ნატოს ქვეყნებისთვის პრიორიტეტად რჩება უკრაინის მხარდაჭერა რუსეთთან უშუალო კონფლიქტში მონაწილეობის გარეშე. ამის შესახებ გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა 1 ივნისს, მოლდოვაში, ევროპელი ლიდერების სამიტზე განაცხადა. ალიანსში უკრაინის გაწევრიანების პერსპექტივაზე დასმულ შეკითხვას მან უპასუხა, რომ „დღევანდელ ვითარებაში არ არის საუბარი წევრობაზე". მისი თქმით, მოკავშირეები უკრაინას ეხმარებიან არა როგორც ბლოკის წევრს, არამედ როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს და მოქმედება ამ სქემით უნდა გაგრძელდეს. „ეს არის ზუსტად ის პრინციპი, რომლის ეფექტურობაც დადასტურდა და რომელსაც ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ", - განაცხადა შოლცმა. რაც შეეხება ომის შემდეგ უკრაინის უსაფრთხოების გარანტიებს, კანცლერის თქმით, ისინი უნდა იყოს ეფექტური, მაგრამ არა „ნატოსთან ასოცირებული" და არ ემთხვეოდეს ბლოკის წევრების შესაძლებლობებს. „უსაფრთხოების გარანტიები კონკრეტული ტერმინებით უნდა იყოს აღწერილი. ამავდროულად, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ვის შეუძლია კონკრეტულად მათი მიწოდება. ეს არის პროცესი, რომელიც, როგორც ვთქვი, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობს და რომელიც აუცილებლად მოიტანს ცვლილებებს... სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან შორს ვართ იმაზე ფიქრისგან, როგორ უზრუნველვყოთ მშვიდობა მსოფლიოში... ჩვენ ომის შუაში ვართ", - აღნიშნა მან.

* * *

შეერთებული შტატების გაერთიანებული შტაბის უფროსმა, გენერალმა მარკ მილიმ უკრაინის მომავალი კონტრშეტევისთვის ტანკების მნიშვნელობაზე ისაუბრა. ამერიკელი გენერლის თქმით, უკრაინის თავდაცვის ძალებს კონტრშეტევაში ტანკები გადამწყვეტი საცეცხლე ძალით უზრუნველყოფენ. „ტანკები ძალიან მნიშვნელოვანია როგორც თავდაცვისთვის, ასევე შეტევისთვის. თანამედროვე ტანკები, მათზე შესაბამისი წვრთნა, მათი გამოყენების უნარი იქნება ფუნდამენტური კომპონენტი უკრაინის წარმატებისთვის", - თქვა მილიმ. მან აღნიშნა, რომ როდესაც კონტრშეტევა დაიწყება, ტანკები იმოქმედებენ არტილერიასთან, ქვეითა და სხვა სახმელეთო ძალებთან ერთად. ამასთან, მილიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ F-16-ის გამანადგურებლების მიწოდების საკითხი უკრაინის აღჭურვის გრძელვადიანი გეგმაა. „ყველა აღიარებს, რომ უკრაინას სჭირდება მოდერნიზებული საჰაერო ძალები და ეს ყველამ იცის. ასეთი საჰაერო ძალების შექმნას დიდი დრო, ძალისხმევა და ფული დასჭირდება", - განაცხადა გენერალმა.



* * *

ამერიკულმა კომპანია Global Military Products-მა აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტისგან უკრაინისთვის Gepard-ის თვითმავალი საზენიტო სისტემის შესყიდვისთვის 118 მილიონი დოლარის ღირებულების კონტრაქტი მიიღო. აშშ Gepard-ებს იორდანიის არმიისგან შეისყიდის. უკრაინა გერმანულ საზენიტო სისტემას წარმატებით იყენებს სხვადასხვა ტიპის დრონების წინააღმდეგ. შეერთებულმა შტატებმა ოთხშაბათს უკრაინის დახმარების ახალი, 300 მილიონი დოლარის პაკეტი გამოაცხადა. სამხედრო დახმარების ახალი პაკეტი მოიცავს დამატებით საჰაერო თავდაცვის სისტემებს, არტილერიას, ტანკსაწინააღმდეგო იარაღს და საბრძოლო მასალას, განსაკუთრებით მცირე ზომის იარაღს.

**მოამზადა**
**ნაირა ფუტკარაძე**

# საუკეთესო მასწავლებელი ბავშვისთვის თავშესაფარია

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*მასწავლებლობა საინტერესო და საპასუხისმგებლო პროფესიაა. ერთი მხრივ, სასიამოვნოა მოზარდებთან ურთიერთობა, მოსწავლეთა პიროვნული ფორმირების პროცესში მონაწილეობა, ხელშეწყობა, მეორე მხრივ, ვალდებულება - საკუთარი გონება, ინტელექტი და თავისუფალი აზროვნება მიმართო ბავშვებისკენ, რომელთა მომავალი შენს ხელშია. ეს ის პროფესიაა, სადაც საკუთარი თავის რეალიზება შეიძლება, რადგან მასწავლებელი მუდამ არაერთი გამოწვევის წინაშე დგას. იბადება კითხვა - ვინ არის კარგი მასწავლებელი?*

*დროთა განმავლობაში, იცვლება სასკოლო განათლების სისტემა და მასთან ერთად, მასწავლებლის პირობითი განმარტებაც. კარგ მასწავლებელს სხვადასხვა მახასიათებელი აქვს. იგი სწავლების თანამედროვე მეთოდებს იყენებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, ზრუნავს მოსწავლეთა როგორც შინაგანი, ასევე, გარეგანი მოტივაციის ამაღლებაზე, მოსწავლეთა სააზროვნო უნარების განვითარებასა და სხვადასხვა ორიგინალური საშინაო დავალების შერჩევაზე, რომელიც მოსწავლეს განუვითარებს როგორც შემოქმედებით, ასევე, კრიტიკულ აზროვნებასაც.*

*23 წლის თამარ სურგულაძე ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობს. მაგისტრატურას წელს ასრულებს, თუმცა, დაწყებითი კლასის მოსწავლეებს უკვე ამზადებს, ასევე, სოციალურ ქსელში აქვს ჯგუფი „დაწყებითი კლასი“, სადაც თავისი აქტივობების გარკვეულ ნაწილს ათავსებს. სურს საზოგადოების ნაწილს გაუზიაროს კონსტრუქტივისტული მეთოდური აქტივობები. მისი მიზანია, ახალგაზრდა მომავალ მასწავლებლებს მოტივაცია მისცეს და ტრადიციული პროგრამის ჩარჩოებიდან თანამედროვე, მრავალფეროვანი აქტივობების ნაწილი შესთავაზოს.*

**- თამარ, რატომ გადაწყვიტეთ მასწავლებლობა?**

- ბავშვობიდანვე ვიცოდი, რომ მასწავლებლობას, ან ხელოვნების რომელიმე სფეროს ავირჩევდი. როდესაც პროფესიაში არჩევანს ვაკეთებდი, პირველ რიგში, იმაზე ვფიქრობდი, თუ რამდენად მაინტერესებდა, მიყვარდა, მომწონდა და მსურდა ამ მიმართულებით მესწავლა, ხარისხის მონიჭების შემდეგ, შემეძლო თუ არა მთელი ჩემი ცხოვრება ამ პროფესიისთვის მიმეძღვნა. საბოლოოდ, სწორედ აქ ვიპოვე საკუთარი თავი და ჩემს მომავალს ამ პროფესიას მივუძღვნი. სხვაგვარად წარმოუდგენელი მეჩვენება იგი.



**- რამდენად რთულია პედაგოგობა?**

- იმდენად მიყვარს ჩემი პროფესია, დიდ სიამოვნებას მანიჭებს და თავდაჯერებულს მხდის. რა თქმა უნდა, თან ახლავს დიდი პასუხისმგებლობაც, შრომაც, მაგრამ, თუ ერთ საფეხურზე არ გაჩერდები, მომავალი თაობის წინსვლასა და წარმატებაზე იქნები ორიენტირებული, ყველა დაბრკოლებას გადალახავ. მეც ხომ მოსწავლე ვიყავი, განვიცდიდი ყველა სიხარულს, მწუხარებას, წარმატებას და მარცხს. ამიტომ, ყველა მოსწავლეში საკუთარ თავს ვხედავ და ყოველთვის მინდა, რომ წარმატებული, ბედნიერი, მამაცი, კეთილი პიროვნების ჩამოყალიბებას შევუწყო ხელი.

**- როგორი უნდა იყოს კარგი მასწავლებელი?**

- კარგი მასწავლებელი მუდამ უნდა ვითარდებოდეს. თუ წარმატების ერთ საფეხურზე გაჩერდება, წინსვლას და განვითარებას შეწყვეტს, ჩათვლის, რომ ყველაფერი ისწავლა და ყველაფერს მიაღწია, ის სხვას ვერ განავითარებს. რაც უფრო მეტად წარმატებული და პროფესიონალი ხარ პროფესიაში, მოსწავლეებისთვის საინტერესო, სამაგალითო და მისაბაძი პერსონა ხდები. როცა ბავშვისთვის საინტერესო ხარ, თავისთავად, შენი საგანი განსხვავებული, ინტერაქტიული და მიმზიდველია. საუკეთესო მასწავლებელი მოსწავლეს შთააგონებს, მასში აუცილებლად იპოვის გაზაფხულს, ბავშვის თვალებს ბრწყინვალებას შემატებს და მის გულს, გონებას სინათლეს მოფენს. მასწავლებლობა ღმერთისგან ბოძებული ჯილდოა, რომელსაც ღირსეული ტარება შეშვენის. საუკეთესო მასწავლებელი თითოეული ბავშვისთვის თავშესაფარი, საყვარელი ადამიანი, მესაიდუმლე, მეგობარი, დამცველია.

**- მასწავლებლობის უპირატესობა და სასიამოვნო მხარეები...**

- მასწავლებელი შემოქმედებითი ადამიანია. აკადემიური მიმართულება მისგან ბევრი ისეთი რამის გამოგონებას და შექმნას მოითხოვს, რომელიც სხვა პროფესიაში იშვიათია. მასწავლებელი ბავშვებთან ურთიერთობით ვითარდება. წარმატებული კი მაშინაა, როცა მუდმივად სწავლობს მოსწავლეებიდან რაიმე ახალს, მეგობრობს მათთან, ითვალისწინებს მათ შესაძლებლობებს, აზრებს, რჩევებს და მუდამ ცდილობს, ყველა ბავშვში იპოვოს სასწაული. ჩემთვის უმნიშვნელოვანესი მეგობრული დამოკიდებულებაა. როცა ბავშვი შენთან მოდის და თავის პრობლემაზე გიყვება, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ შედეგს მიაღწიე. მასწავლებლობა პასუხისმგებლობის გარდა, მეგობრობა და ურთიერთგაგებაა.

**- რა თვისებებს აფასებთ მოსწავლეებში?**

- ყველა მოსწავლე უნიკალური და განსხვავებული, განსაკუთრებული თვისებების მატარებელია. ოჯახსა და სკოლაზეა დამოკიდებული, როგორ პიროვნულ თვისებებს ჩამოუყალიბებს და განუვითარებს მას. ბავშვი უმანკო, სუფთა და წმინდაა, რომელიც საზოგადოებისგან იძენს ყველა იმ თვისებას, რასაც მას სთავაზობენ. ყოველთვის ვეცდები აღვზარდო წარმატებული თაობა, რომ წლების შემდეგ ვთქვა: - „ეს ჩემი მოსწავლე იყო“ და არ შემრცხვეს საკუთარი თავის, რომ ეს პროფესია ღირსეულად ვერ ვატარე. მე თუ ბავშვს ვაჩვენებ შრომისმოყვარების, მამაცობის, სიკეთის, მიზანდასახულობის, სამართლიანობის მაგალითებს, ის ყოველთვის გამოიყენებს ამ თვისებებს მომავალში.

**- გყავდათ სკოლაში საყვარელი მასწავლებელი?**

- ბავშვობისას მასწავლებლობაზე თუ მიფიქრია, ეს ჩემი მშობლების, დის და პირველი მასწავლებლის დამსახურებაა, რომლის ქცევა-თვისებები ჩემთვის შთამაგონებელი და მაგალითის მომცემი იყო. დაწყებით კლასში მასწავლიდა. უყვარდა განსხვავებული მეთოდებით სწავლება. სკოლაში ბევრ მასწავლებელს გამოვარჩევდი, რომლებმაც დიდი ენერგია და ცოდნა ჩადეს ჩემს განათლებაში. სკოლას და ოჯახს ჩემ პიროვნულ ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის.

**- როგორ შეიცვალა სკოლა და მოსწავლეები თქვენი სწავლების პერიოდში?**

- დღეს განვითარების მეტი შესაძლებლობაა. ტექნოლოგიებით შეგიძლია მეტი რესურსი მოიძიო - სასარგებლო ვებ-გვერდებია, ელექტრონული წიგნები, აუდიო და ვიდეორესურსი, სიმულაცია, ანიმაცია, კომიქსი, სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა, რაც მოსწავლეებისთვის სასწავლო პროცესს საინტერესოს ხდის. წარმატებულია ის სკოლა, რომელსაც ბევრი პროფესიონალი პედაგოგი ჰყავს.

**- რა რჩევას მისცემდით იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სურთ გახდნენ მასწავლებლები?**

- პირველ რიგში, უნდა უყვარდეთ ბავშვები და თავი მასწავლებლის ადგილზე უნდა წარმოიდგინონ. იფიქრონ, რას აკეთებს პედაგოგი მოსწავლეებისთვის, დააკვირდნენ, როგორი თვისებების მატარებელია, როგორ იქცევა რთულ სიტუაციებში, აქვს თუ არა მასწავლებლის პროფესიისთვის საკმარისი ცოდნა და გამოცდილება. ყველა მოსწავლეს ჰყავს თავისი გმირი მასწავლებელი, რომელიც სურვილს უჩენს, მისნაირი საუკეთესო პერსონა იყოს და აკეთოს ის, რასაც თვითონ აკეთებდა თავისი აღსაზრდელისთვის. მასწავლებლობა მოიცავს პასუხისმგებლობას და სიახლის მუდმივად ძიებისკენ ლტოლვას. მოსწავლეებს, რა თქმა უნდა, გააზრება და დიდი დაფიქრება მართებთ, თუ რა პროფესიასთან სურთ საკუთარი თავის დაკავშირება.

**- გაქვთ რაიმე ჰობი და დაკავშირებულია თუ არა თქვენს საქმიანობასთან?**

- ვამზადებ ხელნაკეთ აქსესუარებს (სამკაულებს, ჩანთებს, თმის სამაგრებს), ასევე, შემიძლია სამოყვარულო დონეზე ხატვა. მაქვს სოციალური გვერდი სახელწოდებით „ჩემი მუზა My muse“, სადაც ონლაინ ვაწარმოებ ჩემს პროდუქციას. მასწავლებლობა განსაკუთრებული პროფესიაა, ჩემი შემოქმედებითობა ხელს მიწყობს, უფრო მრავალფეროვანი მეთოდები და აქტივობები გამოვიყენო სასწავლო პროცესში. ყოველთვის მჭიდროდ ვიქნები დაკავშირებული ხელოვნებასა და მასწავლებლობის პროფესიასთან.

**- რა არის მთავარი კარგი გაკვეთილის ჩასატარებლად?**

- კარგი გაკვეთილი უნდა იწყებოდეს განწყობის შექმნით, მიზნების გაცნობითა და ჩასატარებელი აქტივობების მოკლე მიმოხილვით. კარგი გაკვეთილის ჩასატარებლად აუცილებელია მასწავლებლის პროფესიონალიზმი, როცა მოსწავლეებს ინფორმაციას საინტერესოდ აწოდებს და გაკვეთილის მსვლელობისას გათვალისწინებულია თანაბარი ყურადღება არა მარტო მასწავლებლის, არამედ მოსწავლეების მხრიდანაც. საინტერესო, მიმზიდველი და ინტერაქტიულია გაკვეთილი, თუ სასწავლო მასალა თანამედროვე მეთოდებითა და აქტივობებით არის გამდიდრებული, წინასწარ დაგეგმილი და მორგებულია თითოეულ მოსწავლეზე. ასევე, შედეგიანია ახალი გაკვეთილის ახსნა, თუ მასწავლებელს გათვალისწინებული აქვს წინარე ცოდნა, ხოლო ახალ, საინტერესო მასალას გარკვევით მიაწოდებს. ამავდროულად, იგი ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის უნარების განვითარებაზე. მოსწავლეებს უნდა უხაროდეთ გაკვეთილზე შესვლა. ამიტომ სწავლება მათთვის სასიამოვნო, საინტერესო და სახალისო უნდა იყოს.

**- რა გეგმები გაქვთ?**

- *ჯერჯერობით, რეპეტიტორი* ვარ. წელს ვასრულებ მაგისტრატურას და აკადემიური ხარისხის მოპოვების შემდეგ, მსურს, რომელიმე საჯარო სკოლაში მუშაობა. გავაგრძელებ ხელნაკეთი ნივთების შექმნასაც, რადგან ჩემთვის შემოქმედებით დაკავება განტვირთვის ერთ-ერთი საშუალებაა.

> ***„კარგი გაკვეთილი უნდა იწყებოდეს განწყობის შექმნით, მიზნების გაცნობითა და ჩასატარებელი აქტივობების მოკლე მიმოხილვით. კარგი გაკვეთილის ჩასატარებლად აუცილებელია მასწავლებლის პროფესიონალიზმი, როცა მოსწავლეებს ინფორმაციას საინტერესოდ აწოდებს და გაკვეთილის მსვლელობისას გათვალისწინებულია თანაბარი ყურადღება არა მარტო მასწავლებლის, არამედ მოსწავლეების მხრიდანაც***

# ფორუმი – სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშესაწყობად

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ფორუმი გაიმართა, რომელზეც აჭარაში მოქმედმა 40-მდე დამსაქმებელმა რამდენიმე ასეული ვაკანტური პოზიცია წარადგინა. აღნიშნული ფორუმი ბსუ-ის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს, მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია მათთვის სასურველი კომპანიების წარმომადგენლებისგან და შეთანხმების საფუძველზე დასაქმდნენ კიდეც. როგორც ბსუ-ის რექტორმა მერაბ ხალვაშმა აღნიშნა, ღონისძიების მიზანია, უნივერსიტეტმა სტაჟირებისა და დასაქმების მიზნით, სტუდენტები დააკავშიროს დამსაქმებლებს, კერძო და საჯარო ორგანიზაციებს.

- ძალიან მნიშვნელოვანი ფორუმია, ფაქტობრივად, მსგავსი მასშტაბის ფორუმი პირველად ტარდება უნივერსიტეტში. დასაქმების თვალსაზრისით, უნივერსიტეტის მაჩვენებელი არ გამოიყურება ცუდად, მეტიც, ჩვენი კვლევების მიხედვით, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა 70 პროცენტზე მეტი დასაქმებულია და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აქედან 55 პროცენტი - ზუსტად თავისი პროფესიის მიხედვით. რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ არსებული მონაცემების ზრდას. ფორუმზე სხვადასხვა ორგანიზაცია, ინსტიტუცია წარმოდგენილი აქვთ სარეკლამო ბანერები, ბროშურები, მასალები და მჯერა, არაერთ მნიშვნელოვან, საქმიან ურთიერთობას ჩაეყრება საფუძველი, - განაცხადა მერაბ ხალვაშმა.

ფორუმთან დაკავშირებით მოსაზრება გაგვიზიარა უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ მესამე კურსის სტუდენტმა გიორგი ბოლქვაძემ.

- იმედი მაქვს, აღნიშნულ ფორუმზე ვიპოვით სპეციალობის მიხედვით სამსახურს,




რაც ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ჩემთვის, ისე თითოეული სტუდენტისთვის, რათა გამოცდილება დავაგროვოთ და უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ კიდევ უფრო მეტად ვიყოთ მზად ამა თუ იმ გამოწვევის დასაძლევად. არაერთ დამსაქმებელს გავესაუბრე დღეს, მივიღე ჩემთვის საინტერესო კითხვებზე პასუხი, რაც ვფიქრობ, აუცილებლად გახდება ჩემი დასაქმების წინაპირობა, - აღნიშნა გიორგი ბოლქვაძემ.

ფორუმი ბსუ-ის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა.

# «სხვაგან ცხოვრების მოწყობას არ ვფიქრობ, გული არსად მიმიწევს»

***50 წლის წინ 3 ივნისის დილა საბედისწერო აღმოჩნდა სამოლეთელი ნოდარ გამრეკელიძისთვის. უჩამბა-შუახევის სამარშრუტო ავტობუსს ფერდობიდან დაგორებული ლოდი შეეჯახა და... სოფელმა, უჩამბის საშუალო სკოლის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა საყვარელი და წარმატებული მათემატიკის მასწავლებელი უკანასკნელ გზაზე დიდი გულისტკივილით გააცილეს. 3 ქალიშვილი და ერთი ვაჟი დარჩა საპატრონებელ-გასაზრდელი ზაიდა კეჟერაძე-გამრეკელიძეს. მათგან უმცროსი ჩვილი იყო***



ზაიდას მშობლები, მულები, მეზობლები, ნოდარის კოლეგები დაუდგნენ გვერდით ცხოვრების მძიმე ხვედრის შესამსუბუქებლად, შვილების ღირსეულად აღსაზრდელად.

- მამის გარდაცვალების დღიდან დედა ძაძებით შეიმოსა და ისე მიებარა მიწას, რომ ბოლო წუთამდე მეუღლეს გლოვობდა, - იგონებს ნოდარის ვაჟი, უჩამბის საჯარო სკოლის დირექტორი ჯემალ გამრეკელიძე, - ის დღეებიც მახსენდება, საფლავზე რომ გაიპარებოდა და სახლში აცრემლებული ბრუნდებოდა. პატარები მაშინ დედის დარდს ვერ ვითავისებდით. ახლა იმ დღეებს გონებაში რომ გადავხედავ, მთელი არსებით ვგრძნობ დედის განცდებს, იგი 1995 წელს გარდაიცვალა. 8 შვილიშვილს მოესწრო, შვილთაშვილებს - ვეღარ.

**- რამ განაპირობა, რომ იმ სკოლას ჩაუდექით სათავეში, რომელსაც მამა 34 წლის ასაკში გამოემშვიდობა?**

- უჩამბის სკოლას დიდი და საინტერესო წარსული აქვს. იგი ახლანდელი შუახევის რაიონში პირველი საშუალო სკოლაა და ეს სტატუსი 1949 წლიდან აქვს. მალე სკოლის აღდგენის საუკუნოვან იუბილესაც ვიზეიმებთ. პროფესიით ინჟინერი ვარ, მაგრამ გარემოებათა კარნახით, მამის თანატოლი პედაგოგების თხოვნით, ეს საპატიო მისია ვიკისრე და საკუთარ თავს ვემადლიერები, რომ ეს ნაბიჯი გადავდგი. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ოჯახში პედაგოგიური საქმიანობა წესად იყო ქცეული. მამიდაჩემი ფადიმე გამრეკელიძე შუახევის რაიონში პირველი ქალი გახლდათ, რომელსაც საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა. ნოვატორი პედაგოგის სახელი ჰქონდა მეორე მამიდას - ნადიას, რომელიც ტბეთის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი იყო. დედა სკოლის დირექტორად ჩემს წარდგენას ვეღარ მოესწრო, თუმცა ხშირად მეტყოდა: სოფელში დაბრუნდი, ოჯახი არ გააუკაცრიელო? ტრადიციამ მომიყვანა იმ სკოლის ხელმძღვანელად და ღირსეული გზის გასაგრძელებლად, რომელსაც სათავე ლევან დავითაძემ, მევლუდ თურმანიძემ, თეიმურაზ და ილია ბერიძეებმა დაუდეს. დიდ პატივად მიმაჩნია მამის თანატოლი მასწავლებლების წინამძღოლად მუშაობა.

**- ქართული სკოლის აღდგენისა და საშუალოდ გადაკეთების თარიღები ახსენეთ. როგორც დირექტორს, რა ღონისძიებები გაქვთ ჩაფიქრებული?**

- «იუსაიდის» პროექტის ფარგლებში, სკოლაში წარმატებული კურსდამთავრებულები - უჩამბის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი იზოლდა აბუსელიძე და შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე გვყავდა მოწვეული. გაისად ორივე თარიღს - აღდგენიდან 100 და საშუალო სკოლად გადაკეთების 75 წლისთავს საზეიმოდ აღვნიშნავთ.

**- სოფლის სკოლები კვალიფიციური პედაგოგების დეფიციტს, მოსწავლეთა კონტინგენტის სიმცირეს უჩივიან...**

- სკოლაში დასაქმებული 20-ვე პედაგოგი სერტიფიცირებულია. გვყავს წამყვანი მასწავლებლებიც. ორს მენტორის წოდებაზეც უჭირავს თვალი. მამა სკოლაში რომ მუშაობდა, მოსწავლეთა კონტინგენტი 500-ზე მეტი იყო, ახლა 50-მდე მოსწავლეა. ახლანდელ უჩამბის თემში, წინა საუკუნის 60-იან წლებამდე, 7 სოფელში ერთი საშუალო სკოლა იყო. შორეული სოფლიდან მოსული მოსწავლეები ინტერნატით სარგებლობდნენ. ახლა ჯაბნიძეებში, ტბეთში, ცინარეთში, გოგაძეებშიც არის საშუალო სკოლები. სამწუხაროდ, გოგაძეებში სკოლა დახურვის პირზეა. ერთ ხანს ჯაბნიძეების სკოლაში მოსწავლეები საკმაოდ ჰყავდათ, გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში მათი რაოდენობა მინიმუმამდე დავიდა. სოფლები ცარიელდება. ალბათ, მალე მხოლოდ ერთი სკოლა დარჩება ადრინდელი საშუალო სკოლის სტატუსით.

**- მაშინ სკოლის ხელმძღვანელობის პრეტენზიაც ბევრს გაუჩნდება...**

- არ ვარ წინააღმდეგი. სერტიფიცირებული, ნორმალური საათობრივი დატვირთვით, რიგითი მასწავლებელი დირექტორზე მეტ ანაზღაურებას იღებს...

**- დღეს ცხოვრების პირობები სოფლად უფრო გაუმჯობესებულია, ვიდრე იმ დროს, როცა მოსწავლე იყავით. მოსახლეობის ასეთი მიგრაცია რამ განაპირობა?**

- ისევ და ისევ, ცხოვრების პირობებმა. შორეული დასახლებაა ოკისი. თითქმის 70 წელი იქ დაწყებითი სკოლა იყო, რადგან 40-მდე კომლი ცხოვრობდა. სკოლის უმოქმედობაზე აღარაფერს ვამბობ. წლევანდელ ზამთარში არცერთი ოჯახიდან კვამლი აღარ ამოდიოდა. იყო დრო, როცა მოსწავლეთა კონტინგენტი ლაკლაკეთში 8-წლიანი სკოლისთვის საკმარისი იყო. ახლა დაწყებითში (სკოლა-ფილიალში) მხოლოდ 4 მოსწავლეა. ანალოგიური მდგომარეობაა კვირიაულში. სკოლის მოსაზღვრე სოფლებია ჩემი მშობლიური სამოლეთი და მოფრინეთი. ორივე სოფელში ზამთრობით 20 ოჯახი აღარ რჩება. სოფელს ამ ეტაპზე მასწავლებლებისა და საბავშვო ბაღში დასაქმებულების ოჯახები ვაცოცხლებთ.

**- წარმატებული ადამიანი ხართ. ვის უმადლით?**

- დედას. ის რომ არა, ფატი, ნანი, ელზა და მე შემდგარი ადამიანები ვერ ვიქნებოდით. დედა ქვეყნისთვის უკიდურესად მძიმე წლებში ორ სტუდენტს გვარჩენდა. ამაგს ვერც უფროს დებს დავუკარგავ - ოჯახებით გვერდით მიდგანან. გვსურს მამის დაბადების 85 წლისთავი ერთად გადავიხადოთ. მშობლების საფლავებიც დების ჩართულობით მოვაწესრიგეთ.

**- სანიმუშოდ მოვლილი კარმიდამო გაქვთ...**

- მის მოვლა-პატრონობაში ჩემზე მეტი წვლილი მეუღლეს მიუძღვის. იგი იმ სკოლის პედაგოგია, სადაც ვმუშაობ. აქტიურადაა ჩართული «სოფლად მცხოვრები ქალების გაძლიერების» პროგრამაში. თანადაფინანსებით მიღებული თანხა ჟოლოს პლანტაციის გაშენებას მოვახმარეთ და ოჯახში დამატებითი შემოსავალი გავიჩინეთ.

**- ესე იგი, მამისეული კერის სიძლიერისთვის ზრუნავთ...**

- მარტო მამის? ბაბუა ღირსებით მოდიოდა, დედა პატიოსნებითა და სათნოებით გამორჩეული ქალი იყო, ჩვენზე ზრუნვაში გალია ცხოვრება. უფროსი და ბოლნისში ოქროს მომპოვებელი კომპანიის გამოთვლითი ტექნიკის მენეჯერია. წელიწადში ორჯერ ბოლნისის ეპარქიის მთავარეპისკოპოს, მეუფე ეფრემთან ერთად მსტუმრობს. მედიცინის და ნანი, ფსიქოლოგი - ელზა მამისეულ ოჯახში სტუმრობას სიცოცხლის გახანგრძლივებად მიიჩნევენ. აქ ფუსფუსი, სტუმრის მიღება მიყვარს, სხვაგან ცხოვრების მოწყობას არ ვფიქრობ, გული არსად მიმიწევს.

> ***სკოლაში დასაქმებული 20-ვე პედაგოგი სერტიფიცირებულია. გვყავს წამყვანი მასწავლებლებიც. ორს მენტორის წოდებაზეც უჭირავს თვალი. მამა სკოლაში რომ მუშაობდა, მოსწავლეთა კონტინგენტი 500-ზე მეტი იყო, ახლა 50-მდე მოსწავლეა. ახლანდელ უჩამბის თემში, წინა საუკუნის 60-იან წლებამდე, 7 სოფელში ერთი საშუალო სკოლა იყო. შორეული სოფლიდან მოსული მოსწავლეები ინტერნატით სარგებლობდნენ. ახლა ჯაბნიძეებში, ტბეთში, ცინარეთში, გოგაძეებშიც არის საშუალო სკოლები. სამწუხაროდ, გოგაძეებში სკოლა დახურვის პირზეა. ერთ ხანს ჯაბნიძეების სკოლაში მოსწავლეები საკმაოდ ჰყავდათ, გასულ და მიმდინარე სასწავლო წლებში მათი რაოდენობა მინიმუმამდე დავიდა***

# ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღნიშნეს

## ქედა

სკოლამდელ დაწესებულებებში, რიგ ორგანიზაციებში დილიდანვე დაიწყო სხვადასხვა ღონისძიება. დაბა ქედაში, ფრიდონ ხალვაშის სახელობის ცენტრალურ პარკში გასართობ-შემეცნებითი აქტივობა გამართეს პატარებმა და უფროსი თაობის ქედელებმა. ღონისძიება ყველა ასაკის ბავშვზე



იყო გათვლილი. ისინიც აქტიურად ჩაერთნენ ანიმატორის და ჯამბაზის მიერ მოწყობილ გასართობ თამაშებში. განსაკუთრებული ემოცია გამოიწვია მათთვის საყვარელი მულტფილმის გმირებთან - ჟოზესთან, სონექთან და ლოლისთან შეხვედრამ.

პარკში რამდენიმე ლოკაციაზე განთავსებულ სპეციალურ სტენდებზე ფოტოსესია მოეწყო.

გაიმართა ქედის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლთან არსებული ბავშვთა საესტრადო ანსამბლ „აბადელიას" კონცერტი.

ღონისძიების დასასრულ ბავშვებს დაურიგდათ ნაყინი.

შეკრებილთ ბავშვთა დაცვის საერთშორისო დღე მიულოცეს მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე იმედა ვასაძემ, საქართველოს პარლამენტის და აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარმა დეპუტატებმა ანზორ ბოლქვაძემ და ფრიდონ ფუტკარაძემ.

## შუახევი

წელს პირველად ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებები ხიჭაურის დასახლებაში გაიმართა.

ბავშვებს, მათ მშობლებსა და დამსწრე საზოგადოებას ზეიმი შუახევის მერის პირველმა მოადგილე მირიან აბაშიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ მიულოცეს.



საზეიმო განწყობაზე „ლულუს სახლის" ანიმატორებმა, ზღაპრის გმირებმა და ჯამბაზებმა იზრუნეს. ღონისძიება მუსიკალურად ხელოვნებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სკოლის მუსიკალურმა ბენდმა „117"-მა გააფორმა და მონაწილეებს მუსიკალური ნომრებით ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცა.

სიმღერები, ცეკვები, გასართობი ნომრები მუნიციპალიტეტის საბავშვო და ალტერნატიული ბაღების სასკოლო ასაკის აღსაზრდელებმაც წარმოადგინეს.

## ხულო



სახელმწიფო პროფესიული თეატრის მიმდებარე ტერიტორია მთელი დღის განმავლობაში ბავშვების მოფერებისა და გართობის არენად იქცა. პატარებს დღესასწაული მიულოცეს ხულოს მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე ნადიმ ვასაძემ, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძემ, გენდერული თანასწორობის მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარე ნარგიზ დეკანაძემ.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ბავშვების ნახატები, მათ მიერ დამზადებული ნივთები.

ხულოს კულტურის ცენტრთან და სახელოვნებო სკოლასთან არსებულმა ანსამბლებმა ბავშვებისთვის კონცერტი გამართეს.

**გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ**

# ვიზიტიორთა ცენტრი – მაჭახელას ხეობაში

გუშინ მაჭახელას ხეობაში, მაჭახელას ეთნოსოფლის პროექტის ფარგლებში, საზეიმოდ გაიხსნა ვიზიტიორთა ცენტრის თანამედროვე სტანდარტების შენობა. აქ ვიზიტიორებს ხეობაში მოგზაურობასთან დაკავშირებით ამომწურავი ინფორმაციის მიღება, სადემონტრაციო კუთხეში გამოფენილი ადგილობრივი ხელნაკეთი ნივთებისა და პროდუქციის გაცნობა შეუძლიათ.



მაჭახელას ვიზიტიორთა ცენტრში მოწყობილია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სატრენინგო და საკონფერენციო სივრცეებიც. ცენტრში წარმოდგენილ ტურისტულ სერვისებსა და პროდუქტებს გუშინ მთავრობის წარმომადგენლები, ხეობის განვითარებაში ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციების, ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლები, გიდები და ადგილობრივი მოსახლეობა გაეცნო.

ბათუმიდან 39 კილომეტრში მდებარე მაჭახელას ხეობა ტურიზმის აქტიური და მიმზიდველი მიმართულებაა. ხეობას ყოველწლიურად ემატება როგორც საოჯახო-სასტუმრო სახლებისა და ტურისტული ობიექტების, ისე ვიზიტიორების რაოდენობა. შარშან ხეობას 50 000-მდე სტუმარი ეწვია, რაც 2021 წლის მაჩვენებელს 60%-ით აღემატება.

მაჭახელას ეთნოსოფლის პროექტის ღირებულება 30 მილიონი ლარს შეადგენს. გარდა ვიზიტიორთა ცენტრისა, პროექტი მაჭახელას ხეობაში სხვადასხვა ლოკაციაზე საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობას, ისტორიული და ეთნოგრაფიული ძეგლების რეაბილიტაციას და სხვა ტურისტულ-ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას ითვალისწინებს. მათ შორისაა ყალივაკეს და გვარას ციხის რეაბილიტაცია, ასევე, „მაჭახელას თოფის გზის“ ფარგლებში, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა. პროექტის მიზანი ხეობაში არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლების შენარჩუნება-პოპულარიზაცია, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და გარემოს დაცვა-გაჯანსაღებაა. მნიშვნელოვანია, რომ მაჭახელას ხეობას შარშან, გაეროს განვითარების ფონდისა მხარდაჭერითა და აჭარის უმაღლესი საბჭოს ჩართულობით, დაცული ლანდშაფტის სტატუსი მიენიჭა.

**ამირან გურიელიძე**

# ერთი ელექტრონული ნებართვა... ქაღალდის სატრანზიტო ნებართვების ნაცვლად

TRACECA-ს გენერალურმა მდივანმა ასეტ ასავბაევმა ბაქოში, აზერბაიჯანის საერთაშორისო ტრანსპორტისა და ლოგისტიკის პირველ ფორუმზე განაცხადა, ევროპა-კავკასია-აზიის საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანი (TRACECA) საავტომობილო გადაზიდვებისთვის ელექტრონული ნებართვების შემოღებაზე მუშაობს. მისი თქმით, დიჯიტალიზაციის ფარგლებში საგზაო ტრანსპორტის ელექტრონული ნებართვების გამოყენების პირობები იქმნება, რადგან დღეს საერთაშორისო გადამზიდველებს სატრანზიტო მოძრაობისთვის დიდი რაოდენობით ნებართვის მოპოვება სჭირდებათ. შესაბამისად, მუდმივმოქმედმა სამდივნომ შეიმუშავა შეთანხმება TRACECA-ს ერთიანი სატრანზიტო ნებართვის შესახებ, რომლის ფარგლებშიც „ქაღალდის სატრანზიტო ნებართვები ერთი ელექტრონული ნებართვით შეიცვლება“.

ამასთან, მუდმივმოქმედმა სამდივნომ მოამზადა შეთანხმების პროექტი, რომელიც პროფესიონალი მძღოლებისთვის TRACECA-ს ფარგლებში უვიზო მიმოსვლას ითვალისწინებს. ამ შეთანხმების ტექსტი ამჟამად დაინტერესებულ ქვეყნებს შორის განიხილება.

სამდივნომ, ასევე, ნახევრადმისაბმელიანი ტრანსპორტით საქონლის საპილოტე გადაზიდვაც დაიწყო, რომელიც ევროკავშირი-შავი ზღვა-საქართველო-აზერბაიჯანი-კასპიის ზღვა-შუა აზიის მარშრუტით განხორციელდება. საპილოტე ტრანსპორტირების შედეგების პრეზენტაცია 10-15 ივნისს გაიმართება. ანალოგიური სატესტო გადაზიდვა დერეფნის ერთ-ერთ სარკინიგზო მარშრუტზეც იგეგმება.

ევროკავშირის პროგრამა TRACECA გერმანიის ქალაქ ფრანკფურტს ჩინეთის შანხაისთან აკავშირებს. პროგრამის მონაწილეები აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო, ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა, მოლდოვა, თურქეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი და ავღანეთი არიან. წლის ბოლომდე TRACECA-ს თურქმენეთიც შეუერთდება და ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი გახდება.

**ამირან გურიელიძე**

# ბრალდებულის მამა პატიმრობაში დატოვეს



რამდენიმედღიანი ძებნის შემდეგ ქობულეთში, სოფელ ლეღვაში, სტადიონთან 20 წლის ბიჭის ცხედარი დამარხული იპოვეს. როგორც ადგილობრივებმა „ინტერპრესნიუსთან“ განაცხადეს, ახალგაზრდა მამაკაცი ამავე სოფელში მეგობართან ერთად სტუმრად იმყოფებოდა.

მომხდართან დაკავშირებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამი პირი დააკავა, ერთს კი ბრალი დაუსწრებლად წარედგინა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნინო სახელაშვილმა 20 წლის ბიჭის მკვლელობის საქმეზე ერთ-ერთი ბრალდებულის მამა პატიმრობაში დატოვა. გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულ ალექსანდრე ბაჟუნაიშვილის მამა გიორგი ბაჟუნაიშვილი მოწმეებზე ზემოქმედებას და შანტაჟს ახორციელებდა, ასევე, მოწმეებს ცრუ ჩვენების მიცემას აიძულებდა. აღსანიშნავია, რომ ბრალდებული ალექსანდრე ბაჟუნაიშვილი მიმალვაში იმყოფება.

**ამირან გურიელიძე**

ხსოვნა

# ნუგზარ ოქროპირიძე



მოულოდნელია სიცოცხლითა და ხალისით სავსე კაცის - ნუგზარ ოქროპირიძის გარდაცვალება, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო მშობლიური კუთხისთვის, ქვეყნისთვის.

ავტოსაგზაო შემთხვევამ იმსხვერპლა ეს დიდი გულის, ფართო ერუდიციის, ნათელი სულის ადამიანი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარებაში, თავისი კვალი დაატყო გაზეთ „აჭარას“, რომელიც, უდავოდ, გაამრავალფეროვნა სოფლის მეურნეობის თემაზე დაწერილმა მისმა ღრმა, ანალიტიკურმა წერილებმა, ხოლო რედაქციის თანამშრომლებს შორის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა მეგობრული დამოკიდებულებით, იშვიათი წესიერებითა და ადამიანური სითბოთი.

სწავლული აგრონომი, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომისტ-ორგანიზატორი, ზოოტექნიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი ნუგზარ ოქროპირიძე 1950 წლის 29 იანვარს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქაქუთში დაიბადა. საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ მშობლიური სოფლის კოლმეურნეობაში იწყებს მუშაობას, 1969 წელს კი სწავლის გასაგრძელებლად რუსეთის ქალაქ მიჩურინსკში მიემგზავრება, სადაც ი. ვ. მიჩურინის სახელობის მეხილეობა-მებოსტნეობის ინსტიტუტის აგრონომიული და ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტი ხდება. 1974 წელს, სწავლის დასრულებისთანავე, ქალაქ ტამბოვის საგარეუბნო საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომად იწყებს მუშაობას, ხოლო ორი წლის შემდეგ სწავლას აგრძელებს მეცხოველეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომელიც 1979 წელს დაასრულა. პარალელურად მეცხოველეობის საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის ქალაქ ტამბოვის ფილიალის მთავარი ტექნოლოგის თანამდებობას ითავსებდა.

როგორც ხედავთ, საპასუხისმგებლო თანამდებობები ნუგზარ ოქროპირიძეს უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე ანდეს. ამის მიზეზი, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების გარდა, ყოველთვის იყო მისი საფუძვლიანი განათლება, მუდმივი განვითარება და სიახლეებისადმი სწრაფვა.

1979 წლის ივლისში იგი საქართველოში ბრუნდება და მუშაობას ხელვაჩაურის რაიონის რაისოფლტექნიკის უფროსი აგრონომის რანგში შეუდგება. ორ წელიწადში აჭარსოფლქიმიის ხელვაჩაურის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების უფროს აგრონომად და მექანიზებული რაზმის უფროსის პოზიციებზე გადაინაცვლებს. 1982-2006 წლებში ნუგზარ ოქროპირიძე აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანება „აჭარსოფლქიმიის“ თავმჯდომარის მოადგილე, შემდეგ კი აჭარის კომპლექსური აგროქიმიური ლაბორატორიის გამგეა.

2007-2012 წლებში იგი შპს „გაზეთ აჭარისა და ადჟარიის“ კორესპონდენტია, რომელიც, თავისი პროფესიული განათლებისა და გამოცდილების წყალობით, საგრძნობლად გაამდიდრა სოფლის მეურნეობის სფეროში პრობლემატური, საფუძვლიანი ანალიზის შემცველი წერილებით.

2012 წლიდან გარდაცვალებამდე ნუგზარ ოქროპირიძეს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრში“ სხვადასხვა დროს მთავარი აგრონომის, მემცენარეობის განყოფილების უფროსის, ბათუმს მიერთებული უბნების საინფორმაციო, საკონსულტაციო სამსახურის უფროსის, ექსტენციის მიწოდების აგრონომის, ფერმერთა მომსახურების აგრონომ-კონსულტანტის თანამდებობები ეკავა.

ამ საქმისადმი ერთგულ და დაუღალავ სპეციალისტს დიდი წვლილი აქვს შეტანილი ჩაქვის ციტრუსოვანთა და გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობების დაგეგმარება-მოწყობაში. იგი აქტიურად მონაწილეობდა ისეთი სასოფლო-სამეურნეო დარგების პოპულარიზაციასა და განვითარებაში, როგორებიცაა მეციტრუსეობა, მეხილეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა.

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია სოფლის მეურნეობის იმ დარგებისა, რომელთა განვითარებისთვის ნუგზარ ოქროპირიძე დაუღალავად შრომობდა „აგროსერვისცენტრის“ თანამშრომლებთან ერთად.

გარდაცვლილ ადამიანზე ცუდს არ ამბობენ, მაგრამ ნუგზარ ოქროპირიძეს შეღავათი არ სჭირდება, მასზე არც სიცოცხლეში ითქმოდა აუგი - თუ ვინმე იმსახურებს კარგი ადამიანის, ნამდვილი ინტელიგენტის, გაწონასწორებული პიროვნების, უზადო პროფესიონალის, იდეალური მეოჯახის სახელს, ასეთი ნამდვილად იყო ნუგზარ ოქროპირიძე. მისი წასვლა დიდი დანაკლისია არა მარტო ოჯახისთვის, კოლეგებისთვის, არამედ მთელი ქალაქისთვის, კუთხისთვის, სამშობლოსთვის. სანუგეშოისაა, რომ კარგად აღზრდილი შვილები (ნინო და გიორგი) დატოვა შესაშური განათლებით და იმგვარი პიროვნული თვისებებით, რითაც მამის გზას - ადამიანისა და სამშობლოს სამსახურს ღირსეულად გააგრძელებენ.

**აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო,**

**„აგროსერვისცენტრი“,**

**გაზეთი „აჭარა“**

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»

პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»

მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა

ტელ: 27-13-31

აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 2/06/23, 21 55 სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

# „მუსიკა – ყველგან“

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

- ასე ეწოდება პროექტს, არტ-პერფორმანსს, რომლის ხელმძღვანელია კონცერტმაისტერი ნინო ნიშნიანიძე. მის გარდა პროექტში მონაწილეობდნენ კონცერტმაისტერი მარინა ქიქავა, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის სოლისტები ბაჩო (ოთარ) ნაკაშიძე და სულხან ჯაიანი, მუსიკისმცოდნე ხათუნა მანაგაძე.

ამ მეტად საინტერესო და საჭირო პროექტის იდეა ერთად დაებადათ. ბათუმელი მომღერლები ხშირად მღერიან უცხოეთში, თუმცა ჩვენთან არის სოფლები, რომელთა მცხოვრებთ მათი მოსმენის ფუფუნება არ აქვთ. ამიტომ გადაწყვიტეს, თავიანთი ხელოვნება სწორედ ასეთი მსმენელისთვის წარედგინათ.

პროექტის განხორციელება ხულოდან დაიწყეს, შემდეგ ეწვივნენ ქედასა და ქობულეთს.

სამი საღამო ჩატარდა და ყველგან ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა. როგორც მომღერლებმა გვითხრეს, კონცერტის მიმდინარეობისას მათ ადგილობრივების არაერთ შეკითხვას უპასუხეს. სასიხარულოა, რომ მათი შემოქმედებით, უფროსი ასაკის ადამიანებთან ერთად, მოზარდებიც დაინტერესდნენ.

მომღერლებმა პროგრამაში ბევრისთვის ნაცნობი და საყვარელი ნაწარმოებები შეიტანეს. შეასრულეს ნეაპოლიტანური, ასევე, ქართული სიმღერები.

კონცერტებზე ბავშვებს უთხრეს, რომ ამ ნეაპოლიტანურ სიმღერებს იქ, სადაც ახლა ჩვენი საამაყო ფეხბურთელი ხვიჩა კვარაცხელია თამაშობს, ყოველი მატჩის დაწყების წინ მღერიან, რაც მათ ძალიან გაუხარდათ და კიდევ უფრო დიდი ინტერესით მოისმინეს.

როგორც ბაჩო ნაკაშიძემ გვითხრა, მათი სურვილია, ამ პროექტით ბათუმშიც წარსდგნენ, განსაკუთრებით, მოზარდების წინაშე და ხელი შეუწყონ მათ კარგ მსმენელად ჩამოყალიბებას.

- ხულო იყო შესანიშნავი, იცით, რატომ? სულ გვესმის, რომ ბავშვებს არ უყვართ კლასიკური მუსიკა, ოპერა. ხულოში საინტერესო კონცერტი გვქონდა. ბავშვებს ვესაუბრეთ, ავუხსენით, რის საფუძველზე და როგორ შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები, მის შინაარსზე, ტექსტზე. ძალიან დაინტერესდნენ, თბილი დიალოგი გაიმართა ჩვენ შორის, უშუალო, ბავშვურად გულწრფელი. დარწმუნებული ვარ, რომ მათგან კარგი მსმენელი გაიზრდება. მე და ბაჩომ ამ პროექტში მონაწილეობა იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ ერთგვარი მაგალითი მიგვეცა ჩვენი



კოლეგებისთვის (აქ ხომ ბევრი კარგი მომღერალი გვყავს), რომ ყველამ რიგრიგობით ვიაროთ სოფლებში, მუსიკალურ სკოლაში, ვესაუბროთ ბავშვებს, შევაყვაროთ კლასიკური მუსიკა. მადლობა ყველას, ვინც ამის შესაძლებლობა მოგვცა, ეს დღეები ჩვენთვისაც ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, - გვითხრა სულხან ჯაიანმა.

# „მედეას ვნებანი“ – ოზურგეთში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

რამდენიმე დღის წინ ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მიწვევით, ამავე თეატრის სცენაზე ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის მონოდრამა „მედეას ვნებანი“ გაიმართა. ზაზა სიხარულიძის მიერ ზვიად ბოლქვაძის მუსიკაზე დადგმული სპექტაკლი შესანიშნავად მიიღო იქაურმა მსმენელმა.

ოზურგეთში „მედეას ვნებანი“ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერითა და თავად მუსიკალური ცენტრის ძალისხმევით გაიმართა.

დიდი ხანი არ არის, რაც ოზურგეთის თეატრი კაპიტალურად გარემონტდა და სპექტაკლის ჩვენებისთვის ესეც სასიამოვნო გარემოს ქმნიდა. რა თქმა უნდა, სასიამოვნო იყო ისიც, რომ დარბაზი გაივსო ოზურგეთელი მაყურებლით.



- გულთბილად გვიმასპინძლეს ოზურგეთელებმა. მადლობა მინდა გადავუხადო თეატრის დირექტორ ზაზა ჯინჭარაძესა და სამხატვრო ხელმძღვანელ ვასილ ჩიგოგიძეს ასეთი შესანიშნავი დახვედრისთვის. ოზურგეთიდან დიდი შთაბეჭდილებებით დავბრუნდით. ამჟამად „მედეას ვნებანის“ უცხოეთში გატანაზე ვმუშაობთ, - გვითხრა ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის მთავარმა ადმინისტრატორმა ჯაბა სალუქვაძემ.

აღსანიშნავია, რომ ოთარ ჭილაძის ნაწარმოების - „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ მიხედვით დადგმული მონოდრამის -



„მედეას ვნებანი“ საპრემიერო ჩვენება შარშან წარმატებით შედგა ჯერ ბათუმში, შემდეგ კი თბილისის მარჯანიშვილის სახელმწიფო თეატრში, რაც შესანიშნავი მწერლის ოთარ ჭილაძის საიუბილეო თარიღს - დაბადებიდან 90 წელს მიეძღვნა. სპექტაკლის შესახებ პრესაში არაერთხელ დაიწერა დადებითი, აღფრთოვანების გამომხატველი რეცენზიები.

სპექტაკლში მხოლოდ ერთი მოქმედი პირია - მედეა, რომლის მხატვრული სახის შექმნას ბრწყინვალედ გაართვა თავი მსახიობმა თათია თათარაშვილმა. თუმცა აქვე არ უნდა დავივიწყოთ კიდევ ერთი მთავარი „მოქმედი პირი“ - ზვიად ბოლქვაძის საოცარი მუსიკა.

სპექტაკლის მხატვარი გახლავთ ბესო



ბესელია, მხატვრული განათება კახა გიგინეიშვილსა და ირაკლი კრასნოპოლსკის ეკუთვნით, გახმოვანება - ვერა ქებულაძეს, ტექნიკური რეჟისორია ზვიად მურვანიძე.

# ხვიჩა კვარაცხელია – სერია A-ს სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი, ლუჩანო სპალეტი – საუკეთესო მწვრთნელი!





იტალიურმა სერია A-მ სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად ხვიჩა კვარაცხელია დაასახელა. ქართველმა შემტევმა ჩემპიონატის 33 მატჩში 12 გოლითა და 10 საგოლე გადაცემით ლომის წვლილი შეიტანა „ნაპოლის“ მიერ 33-წლიანი პაუზის შემდეგ „სკუდეტოს“ მოგებაში.

შეგახსენებთ, რომ კვარაცხელიამ სადებიუტო სეზონში მთელი საფეხბურთო სამყაროს ყურადღება მიიპყრო. იგი სამჯერ აღიარეს თვის საუკეთესო ფეხბურთელად.

სეზონის საუკეთესო თავდამსხმელად ვიქტორ ოსიმენი („ნაპოლი“) დასახელდა, რომელიც 25 გატანილი გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია.

საუკეთესო მეკარე ივან პროვედელი („ლაციო“) გახდა, საუკეთესო მცველი - კიმ მინ ჯე („ნაპოლი“), საუკეთესო ნახევარმცველი - ნიკოლო ბარელა („ინტერი“), ხოლო საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი - ნახევარმცველი ნიკოლო ფაჯოლი („იუვენტუსი“).

სპორტული გაზეთების რედაქტორებმა, მწვრთნელების მიერ მიღწეული შედეგებისა და მატჩებისას ფეირ-პლეის პრინციპების დაცვის მიხედვით, სეზონის საუკეთესო მწვრთნელი გამოავლინეს და, რასაკვირველია, ის „ნაპოლის“ თავკაცი ლუჩანო სპალეტია. მას პრიზს ხვალ - 4 ივნისს „სამპდორიასთან“ შეხვედრის წინ გადასცემენ.

ამირან გურიელიძე